სანდრო ტაბატაძე *

ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები თანამედროვე საქართველოში **

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია ულტრამემარჯვენე გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში, სადაც, თავის მხრივ, ევროპეიზაციის პროცესი მიმდინარეობს. კვლევის მიზანია დაადგინოს რამდენად შეესაბამება ულტრამემარჯვენეობის ევროული გამოცდილებით ჩამოყალიბებული გაგება თანამედროვე ქართულ რეალობას. ნაშრომში წარმოდგენილია 4 გაერთიანების („ქართული მარში“, „ქართული ეროვნული ერთობა“, „ანტილიბერალები“ და „ედელვაისი’) წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული პოზიციები საგარეო და იდენტობის პოლიტიკის, სოციალურ-ეთიკური საკითხების შესახებ. ამას გარდა, შეფასებულია მათი ნეო-პოპულისტური ხედვები და კანონის უზენაესობის პრინციპის აღიარების საკითხი. დასკვნაში გაანალიზებულია მოცემული გაერთიანებების არსებითი პოლიტიკურ შეხედულებები და მათ შორის არსებული კავშირები.

საკვანძო სიტყვები: ულტრამემარჯვენეობა, პოლიტიკური პოზიციები, ქართული პოლიტიკა, პოლიტიკური გაერთიანებები

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში ახალი ულტრამემარჯვენე საზოგადოებრივი მოძრაობებისა და პოლიტიკურ პარტიების შესწავლა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამის უპირველესი მიზეზი მათი მზარდი ელექტორალური მხარდაჭერა და საარჩევნო წარმატებაა. ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა და სამთავრობო

---

* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

** სტატიის ინგლისურენოვანი ვერსია დაბეჭდილია ჟურნალში

კოალიციის წევრი გახდა ან/და ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შექმნა (Mudde, 2016; Lortkiphanidze, 2018). დაახლოებით მსგავსი ტენდენციები შეინიშნება საქართველოში, რომლის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობს სამ ათეულ წელს ითვლის. ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ურყევი კურსი კონსტიტუციურ დონეზეა აღიარებული (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, 2018). მზარდი ევროპეიზაციისა და ევროპული ცხოვრების წესის დამკვიდრების ფონზე, ნელ-ნელა საქართველოშიც აქტიურდებიან ულტრანაციონალისტური ძალები (Wales, 2017). მართალია ისინი ჩამოყალიბების პროცესში არიან და მცირე საზოგადოებრივი ცნობადობა აქვთ, მაგრამ შესაძლოა მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის პოლიტიკურ პოზიციებს აჟღერებდნენ. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს (NDI.org, 2019), რომ მოქალაქეთა 70%-ზე მეტი ქვეყნის ევროატლანტიკური საგარეო კურსის მომხრეა, თუმცა ანტიევროპული განწყობები მაინც ვლინდება. ვინაიდან საქართველოში მსგავსი გაერთიანებების წარმატებული გამოცდილება თითქმის არ არსებობს, რთულია მათი პოლიტიკური პოზიციებისა და იდეების დაზუსტებით დახასიათება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა დავადგინოთ თანამედროვე საქართველოში არსებული ულტრანაციონალისტური გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები.

მოცემული ნაშრომის მიზანია დავადგინოთ, რამდენად შეესაბამება ულტრამემარჯვენეობის ევროპული გაგება მსგავსი ტიპის გაერთიანებების პოლიტიკურ პოზიციებს საქართველოში. ამდენად, მნიშვნელოვანია შეირჩეს რადიკალური/ექსტრემისტული/ულტრა-მემარჯვენეობის ისეთი თეორია, რომელიც ქართულ კონტექტს მოერგება. მოცემული საკითხის განხილვისას, მკვლევრები უმეტესწილად ფოკუსირდებიან იმ პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებზე, რომლებიც ამ ტიპის პოლიტიკურ პოზიციებს დეკლარირებულად აჟღერებენ. რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, ულტრამემარჯვენეობის ტრადიცია რამდენიმე დეკადას ითვლის (Taggard, 1995), მაშინ, როცა საქართველოს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის ისტორია 1991 წლიდან იწყება. ერთი მხრივ, ევროპეიზაციის ზეგავლენით, ქვეყანა ჯერ კიდევ დემოკრატი-

ზაციის ტალღის ნაწილია, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციის კრიზისის ნიშნებიც იკვეთება (Nodia & Scholtbach, 2006). არასტაბილური პოლიტიკური ლანდშაფტისა და ეკონომიკური ზრდის არაინკლუზიურობის კვალდაკვალ, სახელმწიფო ემიგრაციის სერიოზული პრობლემის წინაშეა: მას ყოველწლიურად მოსახლეობის დაახლოებით 2,5% ტოვებს (geostat.ge, 2018). ამგვარი გამოწვევების შედეგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება მათ შორისაა ულტრამემარჯვენე ძალების გააქტიურება. მათი პოლიტიკური შეტყობინებები ოჯახისა და ტრადიციების გაქრობის საფრთხეებს უკავშირდება, რომელსაც ლგბტ თემის მხარდამჭერი დასავლეთი უწყობს ხელს (Roth, 2019). თუმცა, პარტიულ სპექტრში მხოლოდ კონსერვატიული, და არა ულტრამემარჯვენე, ძალები გვხვდება, რაც შესაძლოა არასტაბილური პარტიული სისტემითაც იყოს გამოწვეული. შედეგად, დღესდღეიბით ულტრანაციონალისტური მესიჯები არა პოლიტიკური პარტიების, არამედ გაერთიანებებისა და რამდენიმე არაფორმალური ჯგუფის მიერ ჟღერდება.

მოცემულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე ხილვადი „ქართული მარშია“, რომელიც ოფიციალურად, 2017 წელს დაარსდა და პერიოდულად აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს და ატარებს დემონსტრაციებს (Stephan, 2019). ისინი უმეტესად მხარს უჭერენ ანტი-იმიგრაციულ და ანტი-ლგბტ პოლიტიკას, მართმადიდებული ეკლესიის პოზიციებთან თვითდეკლარირების პარალელურად, ეწინააღმდეგებიან დასავლეთის ანტი-რელიგიურ პროპაგანდას. 2019 წელს, „ქართული მარშის“ ლიდერებმა, სანდრო ბრეგაძემ და გია კორკოტაშვილმა არალეგალური იმიგრანტების წინააღმდეგ ეროვნული პატრულის ჩამოყალიბების იდეა გააჟღერეს (Transparency.ge, 2019). საინტერესოა, რომ ამ გაერთიანებამ 2019 წლის აპრილში დაანონსეს ახალი, ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც მარი ლე პენის „ეროვნული ფრონტის“ მსგავსი იქნება და მხარს დაუჭერს საქართველოს მოქალაქეების პასპორტებში ეთნიკურობის მითითების აუცილებლობას (dfwatch.net, 2019). კიდევ ერთი გამორჩეული ჯგუფი „ქართული ეროვნული ერთობაა“, რომელიც „ქართულ მარშთან“ ერთად პე-

რიოდულად ესწრება დემონსტრაციებს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსდა 2016 წელს. ერთობას ჰყავს მეთაური და მწიგნობართუხუცესი და სიმბოლოდ, სვასტიკის ნაცვლად, იყენებს შავ სამკლაურს (netgazeti.ge, 2019). ოჯახის სიწმინდის დღეს გამართულ შეკრებაზე, ჟურნალისტის შეკითხვაზე ამ გაერთიანების იდეოლოგიის შესახებ, „ქართული ეროვნული ერთობის“ წევრმა - ბექა ლოლაშვილმა „ქართული ფაშიზმი“ უპასუხა (radiotavisufleba.ge, 2019). მოძრაობის ლიდერმა, გიორგი ჭელიძემ, დაადასტურა, რომ ისინი მხარს უჭერენ ფაშიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს, ასევე აღნიშნა, რომ მათი გაერთიანება შეეცდება შავპერანგიანი რაზმის შექმნას, რომელიც იარაღით იქნება აღჭურვილი. მისი მტკიცებით, ერთობაში ფაშისტური სალამია მიღწებული (tbiliselebi.ge, 2019). დღესდღეობით, ის დაკავებულია იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებით (radiotavisufleba.ge, 2019).

ანტილიბერალები, როგორც ფეისბუქ ჯგუფი 2016 წელს დაარსდა. მოქალაქეები, რომლებიც მსგავს პოლიტიკურ პოზიციებს იზიარებდნენ თანდათან გაწევრიანდნენ ამ გაერთიანებაში. სოციალური მედიის ეს პლატფორმა არ არის საჯარო და აცხადებს, რომ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის შეურაცხყოფა დაუშვებელია. 2017 წელს, შეიქმნა ფეისბუქ გვერდი სახელით - ანტილიბერალური კლუბი, რომელიც უმეტესწილად აქვეყნებს ლგბტ თემის, მზარდი იმიგრაციის პრობლემებს, ქრისტიანული და ოჯახის ღირებულებების განმტკიცების აუცილებლობასთან დაკავშირებულ ახალ ამბებსა და საკითხებს (Facebook.com, 2019). პოსტების უმრავლესობა ალტ-ინფოს მიერაა შექმნილი, რომელიც, თავის მხრივ, ყველაზე ხშირად პოლიტიკური კორექტულობის, აბორტის, იმიგრაციისა და ლგბტ თემის საწინააღმდეგო საკითხებზე წერს (Facebook.com, 2019). კიდევ ერთი, თუმცა არაფორმალური, იატაკქვეთა ჯგუფია „ედელვაისი“, რომლის წევრებიც პერიოდულად იკრიბებიან და პოზიციებს ერთმანეთს უზიარებენ. ის 2015 წელს დაარსდა და მისი წევრები 2016 წლის 27 სექტემბერს აღმაშენებლის გამზირზე ანტი-საიმიგრაციო დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ, სადაც ისმოდა შემახილები: „საქართველო ქართველებს“

(EMC.org.ge, 2019), რაც გარკვეულ ქსენოფობიურ განწყობებს ასახავს. „ედელვაისის“ სოციალური მედიამ „ქართველი გოგონების თურქულ და არაბულ ბარებში მუშაობა“ გააპროტესტა (amerikis-khma.com, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ ამ გაერთიანებები ჯერჯერობით ინსტიტუციონალიზებული ფორმა არ აქვთ, ერთი მხრივ, მსგავსი განწყობების გაძლიერება ევროპაში და, მეორე მხრივ, საქართველოს მზარდი ევროპეიზაცია შესაძლოა ულტრამემარჯვენე პოზიციების გაძლიერებისთვის საკმაოდ მყარი ნიადაგი შეიქმნას. დასაშვებია, რომ ისინი უფრო გავლენიან სოციალურ მოძრაობებად ან პოლიტიკურ პარტიებად იქცნენ (Maisuradze, 2019). შესაბამისად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება შევისწავლოთ ამ ოთხი გაერთიანების პოლიტიკური პოზიციები. პირველ ყოვლისა, ეს საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ მათი პოლიტიკური ხედვები ჩამოყალიბების პროცესშივე და შევადაროთ ის მათ შემდგომ განვითარებას. გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენადაა ქართული გამოცდილება ულტრამემარჯვენეობის ევროპული გაგების შესაბამისი.

მოცემული სტატია სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველ ნაწილში წარმოდგენილია თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია, მეორეში მიმოხილულია საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკური პროცესები, ხოლო მესამე ნაწილში ასახულია კვლევის შედეგები.

1.თეორიული მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში „მემარჯვენე რადიკალიზმის“, „მემარჯვენე ექსტრემიზმისა“ და „ულტრამემარჯვეობის“ ირგვლივ აქტიური დისკუსია მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევრებისთვის მთავარი წინაღობად ტერმინის შერჩევა იქცა. დღემდე სერიოზული კამათი მიმდინარეობს იმაზე, თუ რომელი ცნება შეეფერება ყველაზე მეტად „ულტრანაციონალიზმის“ შინაარს. მოცემული საკითხის ირგვლივ ბოლო ორი ათწლეულია, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომია შექმნილი (Koopmans, 1997;

Rydgren, 2005; Von Beyme 2007). თუმცა, როგორც პოლ ჰაინსვორთი (2008) აღნიშნავს, ცნების ირგვლივ კამათი დაგვიანებულია, რადგან უკვე ეს პოლიტიკური ძალები ზოგიერთ შემთხვევაში ევროპული სახელმწფოების სამთავრობო კოალიციების წევრები არიან. ავტორი (2008, გვ.8) წერს, რომ „ცნების უნივერსალური გაგება თანდათან ქრება“. კას მუდე (1996, გვ. 205) მიანიშნებს, რომ „მემარჯვენე ექსტრემიზმი დღესდღეობით უფრო მეტად სოციალური და პოლიტიკური ჟარგონია და აქ არ არსებობს ცალსახა განმარტება“. როჯერ ითველის (2004, გვ. 11) თქმით კი, „ესაა მოხერხებული, თუმცა გაბზარული სტენოგრამა“. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი აკადემიური დებატები ცნების ირგვლივ შესაძლოა დაუსრულებლად გაგრძელდეს, თუ არ ვკონცენტრირდებით თავად ამ ტერმინის შინაარსზე და მის კონკრეტულ მახასიათებლებზე. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია გამოვყოთ მემარჯვენეობის გაგების ანგლო-საქსური და გერმანული სკოლები. პირველ შემთხვევაში, რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობა ფაქტორივი სინონიმებია, მათ შორის ზღვარი გამქრალია და ზოგადად, ეს პოლიტიკური პოზიცია ლიბერალური დემოკრატიისა და გლობალიზმის ოპოზიციას წარმოადგენს. ხოლო, გერმანული სკოლა განასხვავებს მემარჯვენე ექსტრემიზმსა და რადიკალიზმის სახეებს. პირველი ფორმა კონსტიტუციური დემოკრატიის საპირირისპირო ხედვას ეყრდნობა და შეიძლება წააგავდეს პოლიტიკის თეორიაში ცნობილი მეგობარი-მტრის კონცეფციას, ხოლო მეორე გამოვლინება შუალედური რგოლია დემოკრატიასა და ექსტრემიზმს შორის და, ამდენად, მსგავსი რადიკალური მემარჯვენეობა რჩება დემოკრატიულობის ჩარჩოში (Ivaldi, 2004). შეიძლება ითქვას, რომ მთავარი განსხვავება ანგლო-საქსურ და გერმანულ სკოლას შორის ფაშისტური გამოცდილებაა. გერმანული სკოლა აშკარა სხვაობას ხედავს ანტისისტემურ ექსტრემიზმსა და ანტისახელისუფლებო რადიკალიზმს შორის, ხოლო ანგლო-საქსური სკოლა ფოკუსირდება ნებისმიერ წინააღმდეგობაზე ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმის მიმართ.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალების წარმოშობის მიზეზებით დაინტერესდა პიერო იგნაზი იყო, გერმანული სკოლის მხარდამჭერმა ავტორმა სტა-

ტიაში „ჩუმი კონტრ-რევოლუცია“ (1992) რადიკალური მემარჯვენეობის გაძლიერების ოთხი მთავარი მიზეზი გამოყო: ნეოკონსერვატიული კულტურული ხასიათი, პოლარიზაცია, ლეგიტიმაციის კრიზისი და ანტისაიმიგრაციო პოლიტიკა. იგნაზის აზრით, პოსტ-მატერიალისტური „ახალი პოლიტიკის“ მიმართ მოსახლეების მზარდი უკმაყოფილება ნეოკონსერვატიულ კულტურულ ხასიათში ტრანსფორმირდა, რომელიც უმეტესად ანტი-უმცირესობებისა და ძლიერი კანონიერება-წესრიგის პრინციპებს ეყრდნობოდა. ავტორი მიუთითეს, რომ პარტიების პოლარიზაციამ და მათი ლეგიტიმაციის კრიზისმა აგრესიული ჯგუფები გააძლიერება, განსაკუთრებით ანტი-საიმიგრაციო, ქსენოფობიური შეტყობინებების ფონზე. იგზანის ლოგიკით, დემოკრატიამ ამ უკმაყოფილებაზე პასუხი დააგვიანა და ამან „ჩუმი კონტრ-რევოლუციის“ სახე მიიღო, რაც მემარჯვენე რადიკალიზმში გამოიხატა. ავტორმა ამგვარად XX საუკუნის 80-იან წლებში მინდინარე სოციო-პოლიტიკური ძვრები შეაფასა ძირითადად დასავლეთ ევროპული ქვეყნების მაგალითზე. მან ასევე ფაშისტური წარსულის მქონე პოლიტიკური ჯგუფები ახალი რადიკალური მემარჯვენე გაერთიანებებისგან გამიჯნა. ავტორის აზრით (2003, გვ.1) რომ „მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე ულტრამემარჯვენეობა ნეოფაშიზმის სინონიმი იყო“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგნაზის მიგნებებმა განაპირობა საკითხის შემდგომი შესწავლა და ახალი მიმართულებების განვითარება. თუმცა, მოცემული კვლევის მიზანი სხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ მოცემულობას ფარავს და ნაკლებად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თანამედროვე ულტრამემარჯვენე ძალების მახასიათებლები. გარდა ამისა, იგზანისეული ცვლადები უფრო პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბების მიზეზებია, ვიდრე მისი ძირეული მახასიათებლები.

მოცემულ თემაზე საინტერესო თეორია განავითარა ჟილეს ივალდიმ (2004). მან ულტრამემარჯვენეობის ოთხი მთავარი კომპონენტი გამოყო: უარყოფითი დამოკიდებულებები იმიგრაციაზე, მკაცრი ავტორიტარული ტენდენციები, ეკონომიკური პროტექციონიზმი და ანტი-სისტემური პოპულიზმი. ავტორი ანგლო-საქსური სკოლიის გამოცდილებას ეყრდნობა, რადგან არ მიჯნავს რადიკა-

ლურ და ექსტრემისტულ პოციზიებს. მიუხედავად იმისა, რომ ივალდისეული კრიტერიუმები შესაძლოა თანამედროვე ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციების დახასიათებისას გამოვიყენოთ, ცნების მისეულ გაგებას რიგი პრობლემები აქვს. ჯერ ერთი, ეკონომიკური პროტექციონიზმი შესაძლოა ნებისმიერი კონსერვატიული ანდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობისთვის იყოს დამახასიათებელი და მისი იმთავითვე ულტრამემარჯვენე კომპონენტად მიჩნევა, მას ნაკლებად ვალიდურს ხდის. ამას გარდა, ავტორის ხედვით, ნამდვილი ულტრამემარჯვენე ძალა ოთხივე ამ კომპოტენტს უნდა იზიარებდეს, რაც თავის მხრივ აჩენს შეკითხვას იმაზე, რომ რამდენადაა შესაძლებელი მხოლოდ ამ კომპონენტებით შეიზღუდოს ტერმინის შინაარსი. ასევე, თეორიის მიხედვით გაუგებარია, თუ რა ტიპის პოზიციების მქონეა გაერთიანება, რომელიც ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორ ან სამ კომპონენტს აკმაყოფილებს. თავის მხრივ, უცნობია თუ სად გადის ზღვარი ამა თუ იმ გაერთიანებისთვის ამ მახასიათებლის ქონა-არქონას შორის. მსგავსად ივალდისა, კას მუდემ (2004) წარმოადგინა ულტრამემარჯვენეობის ოთხი მთავარი ინდიკატორი, რომელიც არსებული თეორიებისგან განსხვავებით, გარკვეულ გრადაციებს ეყრდნობა და გერმანული სკოლისთვის დამახასიათებელ ტერმინებს იყენებს. ავტორის აზრით, მთავარი ინდიკატორებია: ნაციონალიზმი, ქსენოფობია, ავტორიტარიზმის რწმენა და შოვინისტური სოციალური პროგრამა. მუდე შენიშნავს, რომ პირველი და მეორე ინდიკატორის მხარდაჭერით სოციალური ანდა პოლიტიკური გაერთიანება ნატივისტურია, თუ მას მესამე, ავტორიტარიზმის რწმენა, ემატება მაშინ ეს რადიკალური მემარჯვენეობაა და მეოთხე - შოვინისტური სოციალური პოლიტიკის შემთხვევაში, უკვე მემარჯვენე ექსტრემიზმის ნიშნულს აღწევს. ერთი შეხედვით, მოცემული ტიპოლოგია უფრო მეტად დახვეწილი და ნაკლებად ხისტია. მიუხედავად ამისა, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ უნდა გაიზომოს ნაციონალიზმის ან ქსენოფობიის პოლიტიკური პოზიციების შესაბამისი მაჩვენებელი ამა თუ იმ გაერთიანების შემთხვევაში. ავტორისთვის პროგრამებისა და საჯარო გამოსვლების ანალიზით, შესაძლებელია გაერთიანების

რომელიმე ტიპოლოგიისთვის (ნატივისტური, რადიკალური, ექსტრემისტული) მიკუთვნება. თუმცა, ვფიქრობ, კვლევის ამ მეთოდოლოგიის ინტერპრეტაციულობიდან გამომდინარე, ეს თეორია უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული გაერთიანებების ტიპოლოგიზაციისთვის არის შესაფერისი. ვინაიდან, მოცემული კვლევა საქართველოს მაგალითზე ჩანასახში მყოფი ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკური პოზიციების გაგებას ცდილობს, ამგვარი მიდგომა ნაკლებად შესაფერისია.

როგორც ვხედავთ, განხილული ავტორები ცდილობენ ულტრამემარჯვენეობის კრიტერიუმები ჩამოაყალიბონ. გარდა იმისა, რომ გერმანული სკოლა, ანგლო-საქსური გამოცდილებისგან განსხვავებით, ფოკუსირდება რადიკალურობისა და ექსტრემისტულობის განსხვავებაზე, ორივე მიმდინარეობის მომხრე ავტორები თანხმდებიან, რომ ამ გაგების შინაარსი უნდა მოიცავდეს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა; ანტი-სისტემური და ანტი-საიმიგრაციო განწყობები, ძლიერი კანონიერება და წესრიგი, ნაციონალისტური და ქსენოფობიური პოლიტიკა. სწორედ ამ ძირითადი პრინციპების შეჯერებით, პოლ ჰაინსვორთმა (2008) ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, ულტრამემარჯვენეობის კრიტერიუმები შემოგვთავაზა. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მეტად არსებული აკადემიური ლიტერატურის განვითარებისა და სინთეზის შედეგი უფროა, ვიდრე ახლი კლასიფიკაციის შექმნის მცდელობა. თუმცა, ავტორი ეყრდნობა ორივე სკოლის გამოცდილებას და მის კრიტერიუმებში ფოკუსირდება როგორც გლობალიზაციისა და ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგობაზე (ანგლო-საქსური სკოლა), ასევე რადიკალიზმი-ექსტრემიზმის განსხვავებებზე (გერმანულ სკოლა) და ამავდროულად, იმ კომპონენტებზე რომლებზეც ორივე ეს მიმდინარეობა თანხმდება. ჰაინსვორთის ოთხი მთავარი კრიტერიუმია: საგარეო პოლიტიკა, იდენტობის პოლიტიკა, სოციალურ-ეთიკური საკითხები, ნეოპოპულიზმი/დემოკრატიულობის ჩარჩო. უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევს ისინი გაზომვად ინდიკატორებად წარმოვადგინოთ. მაგალითად, თეორიის მიხედვით, საგარეო პოლიტიკა მოიცავს გაერთიანების დამოკიდებულებებს გლობალიზა-

ციაზე, საიმიგრაციო და სამეზობლო პოლიტიკაზე. ამავდროულად, ამგვარი მიდგომა შესაძლებელია ისეთი შემთხვევების შესასწავლად გამოვიყენოთ, როცა გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები ცნობილი არ არის, რაც ერგება მოცემული კვლევის მიზანს. შესაბამისად, ამ კვლევის თეორიულ ჩარჩოდ სწორედ ჰაინსვორთისეული ულტრამემარჯვენეობის გაგებას გამოვიყენებთ.

მოცემული კვლევა საკითხის ერთ-ერთ პირველ ემპირიულ მცდელობას წარმოადგენს და, ამდენად, მნიშვნელოვანია პირველადი მონაცემების არსებობა. ვინაიდან შერჩეულ გაერთიანებებს არ გააჩნიათ პროგრამები, მათი პოზიციების დადგენა მხოლოდ გამოკითხვის გზითაა შესაძლებელი (ჩაღრმავებულ ინტერვიუზე რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა). შესაბამისად, კვლევის ინსტრუმენტად კითხვარი გამოვიყენეთ, პირისპირი ინტერვიუირების გზით. ეს მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ რესპონდენტების პასუხები ზუსტად ერთსა და იმავე დებულებებზე. საინტერესოა, რომ შერჩეული პოლიტიკური გაერთიანებებიდან, რამდენიმემ მათი მუდმივი წევრების რაოდენობა არ დააკონკრეტა, რაც მათი არაინსტიტუციონალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურით შეიძლება აიხსნას. მათ უფრო მეტად პროტესტანტი მხარდამჭერები ჰყავთ. ამდენად, თითოეული გაერთიანების პოზიცია მათი მუდმივი წარმომადგენლის (დამფუძნებლისა და პოლიტიკური ლიდერის) პოზიციით შეიძლება დავადგინოთ. შედეგად, თავდაპირველად გამოვიყენეთ ხელმისაწვდომი შერჩევის ტიპი. ხოლო, შემდეგ ვთხოვეთ გაერთიანების აქტიურ და მუდმივ წევრებთან შეხვედრა, რითიც თოვლის გუნდის შერჩევა გამოვიყენეთ. ნაკლებად ორგანიზებული სტრუქტურისა და ნების ნაკლებობის გამო, რამდენიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ მხოლოდ სამი რესპონდენტი წარმოადგინა (პოლიტიკური ლიდერები, დამფუძნებლები და მუდმივი წევრები). პროპორციის დაცვის მიზნით, გამოკითხვა ყველა გაერთიანებასთან თანაბარი რაოდენობით ჩატარდა. შესაბამისად, 4 ყველაზე ხილვადი პოლიტიკური ჯგუფისგან („ქართული მარში“, „ქართული ეროვნული ერთობა“, „ედელვაისი“ და „ანტილიბერალები“) 3-3 რესპონდენტი გამოიკითხა ანონიმურობის გარანტიით.

კვლევაში გამოყენებული კითხვარი 4 თემატურ ბლოკადაა (თეორიული ჩარჩოს შესაბამისად) დაყოფილი: საგარეო პოლიტიკა, იდენტობის პოლიტიკა, სოციალურ-ეთიკური საკითხები, ნეოპოპულიზმი/დემოკრატიულობის ჩარჩო. ცხრილ N1-ში მოცემულია კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ინდიკატორები, რაც დებულებების სახითაა მოცემული კითხვარში.

კრიტერიუმები	**ინდიკატორები**
საგარეო პოლიტიკა	პოზიციები გლობალიზაციაზე, საიმიგრაციო და სამეზობლო (რუსეთი, თურქეთი, ევროკავშირი, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) პოლიტიკაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე.
იდენტობის პოლიტიკა	პოზიციები ეროვნულ, რეგიონულ (კავკასიური, ევროპული) იდეტობებზე, მულტიკულტურალიზმზე, ქრისტიანულ ღირებულებებზე.
სოციალურ-ეთიკური საკითხები	პოზიციები სიკვდილით დასჯაზე, აბორტის უფლებაზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე, ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, გენდერულ უთანასწორობაზე, სოციალურ შოვინიზმზე
ნეოპოპულიზმი/დემოკრატიულობის ჩარჩო	პოზიციები სახალხო ნების რეპრეზენტაცაზე, პოლიტიკოსებსა და პარტიებზე, პოლიტიკურ სისტემაზე, კანონის უზენაესობაზე

ცხრილი N1 წყარო: თვით-პრეზენტაცია

პოლიტიკური პოზიციების მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობისთვის მიზნით, კითხვარში 50 დებულებაა წარმოდგენილი, რომლებიც 4 ბლოკს აერთიანებს და ამდენად, მათი შინაარსი არაერთგვაროვანია. რესპონდენტებმა დებულებები ლიკერტის 5 ქულიანი სკალით უნდა შეაფასონ, სადაც „1“ ნიშნავს - „სრულიად არ ვეთანხმები“, „2“ – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, „3“ –„ ნეიტრალური“; „4“ – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“, „5“ – „სრულიად ვეთანხმები“. მნიშვნელოვანი, ერთმანეთს შევადაროთ როგორც გაერთიანებების წარმომადგენლების პოზიციები ისე, კითხვარში არსებული ბლოკების საშუალო ქულები, რითიც საშუალება გვექნება დავადგინოთ ხომ არ იზიარებენ რომელიმე კრიტერიუმის შესაბამის დებულებებს მოცემული გაერთიანებების წარმომადგენლები. შედეგების დამუშავებისას, დებულებების ქულები ისე განლაგდება, რომ საშუალო ქულა, რომელიც ახლოს იქნება 5-თან ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პოზიციებს გამოხატავს (კითხვარში ზოგიერთ შემთხვევაში „1“ გულისხმობდა ამგვარ პოზიციას, ხოლო ზოგჯერ - „5“, რადგან რესპონდენტს არ მიეჩნია, რომ ერთი და იგივე ქულა მუდმივად მსგავს პოზიციას ასახავს). თუ ეს მაჩვენებელი რომელიმე თემატურ ბლოკში 4-სა და 5-ს შორისაა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კონკრეტული კრიტერიუმით ამ გაერთიანების წარმომადგენლები ნამდვილად ერგებიან ულტრამემარჯვენეობის იმ გაგებას, რომელიც თეორიულ ჩარჩოშია მოცემული. მიუხედავად ამისა, კვლევის ამ მეთოდს რამდენიმე შეზღუდვა გააჩნია. პირველ ყოვლისა, ის გაერთიანებიდან მხოლოდ რამდენიმე წევრის პოზიციებს იგებს წინასწარ ფორმულირებული დებულებებით, რის გამოც, შესაძლოა რესპონდენტების განსაკუთრებული პოზიცია შედეგებში არ აისახოს. ამის გარდა, კითხვის ნიშნის ქვეშაა რამდენად იქნება დებულებები ერთმანეთთან შეთანხმებული ანუ როგორი იქნება ვალიდურობა. დაბოლოს, მართალია, დახურულ კითხვარში რესპონდენტები სხვადასხვა დებულებაზე თავიანთ შეფასებებს ავლენენ და პირობითად „სრულიად ვეთანხმები“ შესაძლოა გამოხატავდეს „ულტრამემარჯვენე“ პოზიციას, რთულია იმის დადგენა თუ რო-

გორი პოლიტიკური ხედვის აღმნიშვნლი იქნება იმავე დებულებაზე პასუხი: „სრულიად არ ვეთანხმები“. მიუხედავად ამისა, ვინაიდან მოცემული კვლევის მიზანი გაერთიანებების წარმომადგენელთა მოსაზრებების ზოგადი განხილვა და მათი ევროპულ გამოცდილებათან შედარებაა, ვფიქრობთ, ყველაზე ეფექტურია ამ მეთოდის გამოყენება. ვინაიდან, ეს ემპირიული მონაცემების მიღების პირველი მცდელობაა ამ დაჯგუფებებიდან, მნიშვნელოვანია, რომ მათ ანალოგიური დებულებები შევთავაზოთ, რადგან მსგავსება-განსხვავებები კარგად იყოს წარმოდგენილი, როგორც კითხვარში არსებულ თემატურ ბლოკებს, ისე თავად გაერთიანებების პოზიციებს შორის. ამას გარდა, კრონბახის შინაგანი სანდოობის (კონსტანტობის) გამოთვლით, შესაძლებელი იქნება დებულებების ურთიერთთავსებადობის საკითხის განსაზღვრა. რაც შეეხება, ულტრამემარჯვენეობის პოზიციის საპირისპირო ნიშნულს, ის არა რომელიმე პოლიტიკური პლატფორმის აღმნიშვნელად, არამედ არა-ულტრამემარჯვენე პოზიციად შეგვიძლია წარმოვადგინოთ.

2. საქართველოს უახლესი პოლიტიკის მიმოხილვა

კვლევის შედეგების წარმოდგენამდე, კონტექსტის უკეთ აღქმისთვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო პოლიტიკური პარადიგმების მოკლე მიმოხილვა. საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოიპოვა. ამას წინ უსწრებდა რამდენიმეწლიანი მძლავრი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მართალია ნაციონალისტურ პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგა, მაგრამ მათი ნარატივი ერთმნიშვნელოვნად ანტი-საბჭოთა იყო და რაიმე ფორმის ულტრამემარჯვენეობაზე საუბარს ვერ შევძლებთ. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, ერთი მხრივ საბჭოთა ცენტრალიზებული ეკონომიკის კოლაფსმა, მეორე მხრივ კი ქვეყანაში განვითარებულმა სამოქალაქო ომების სერიამ, მოსხლეობის სოციალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. 1995-2003 წლებში, ძირითადად საბჭოთა ნომენკლატურით დაკომპლექტებული ახალი ხელისუფლება ერთი მხრივ ცდილობდა დასავ-

ლეთთან ურთიერთობების დამყარებას, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ კოოპერაციასა და არსებული ტერიტორიული კონფლიქტების „გაყინვას“ უჭერდა მხარს. ამასთან ერთად, მოსახლეობაში სიღარიბის დონე უფროდაუფრო იზრდებოდა და კორუფცია საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა (Wheatley, 2017).

მართალია, ამ პერიოდშიც დროდადრო ჩნდებოდნენ დეკლარირებულად ნაციონალისტური ძალები თუმცა მათი პოლიტიკური პოზიციები და გავლენა ძალიან უმნიშვნელო იყო, რადგან რეალურად თავად სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა (Wheatley, 2017). მზარდი საზოგადოებრივი უკმაყოფილება 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციაში“ გადაიზარდა, როცა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა და საქართველოს ერთადერთ საგარეო პოლიტიკურ კურსად ევროატლანტიკური ინტეგრაცია აღიარა (Kakachia & Minesashvili, 2015). დემოკრატიზაციისა და ვესტერნიზაციის გაცხადებული გეზის კვალდაკვალ, საზოგადოების ნაწილი, რომელმაც ძირეულ ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო, ფაქტორივად, მარგინალიზირდა. შეგვიძლია, ვთქვათ საზოგადოება „ვარდების რევოლუციით“ გამარჯვებულებად და დამარცხებულებად დაიყო. საბოლოოდ კი, ავტორიტარული ქმედებების გამო, ხელისუფლებამ საზოგადოებრივი მხადაჭერა დაკარგა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება პირველად შეიცვალა არჩევნების გზით.

ახალი ხელისუფლების პირობები ქვეყნის ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკური კურსი კიდევ ერთხელ დეკლარირდა (Kakachia & Minesashvili, 2015) რაც „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, „შენგენის ზონაში 90 დღით უვიზო მიმოსვლის“ უფლების მიღებითა და ნატოს-თან ერთობლივი სამხედრო წვრთნებით გამოვლინდა. ამასთანავე, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის გზაზე არსებულ თითოეულ ნაბიჯზე, რუსეთი, რომელთანაც საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მცოცავ საოკუპაციო ხაზს ცვლის და რამდენიმე ქართულ სოფელს თავის შემადგენლობაში აქცევს (Coffey,

2018). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრო-რუსული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა მცირეა (როგორც წესი, არასაპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენენ), 2018 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ „კონსტიტუციურმა ორგანოებმა მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზურნველსაყოფად (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, 2018). შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაწერი პოტენციური საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით გაკეთდა. ქვეყნაში, სადაც მთავარ გამოწვევად მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა რჩება განსაკუთრებით განხილვადი აღმოჩნდა 2014 წელს მიღებული ანტი-დისკრიმინაციული კანონი (რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების პროცესში მოხდა), რომელიც ნებისმიერი ტიპის უმცირესობას კანონის წინაშე თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს აძლევს (transparency.ge, 2014). ასევე ღირებულებითი დაპირისპირების საგანი აღმოჩნდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის მიყიდვა/არმიყიდვის თემა. თავდაპირველად, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი ქართული მიწის, როგორც განსაკუთრებული აქტივის დაცვის მიზნით მიიღო, ხოლო შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ჩანაწერი არაკონსტიტუციორად ცნო. იდეის მომხრეთა აზრით, (რომელთა შორის ამ კვლევაში ჩართული „ქართული მარშიცაა“) უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართულ მიწას არ უნდა ფლობდნენ, ხოლო მოწინააღმდეგეები უცხოური ინვესტიციებისა და ღია ეკონომიკის აუცილებლობაზე აკეთებდნენ აქცენტს.

საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში (მზარდი ევროპეიზაციის ფონზე) პოლიტიკური ელიტა ნებისმიერ ცვლილებას „ევროპულის“, „დასავლურისა“ და „პროგრესულის“ სინონიმებად მოიხსენიებდა, ამდენად მოქალაქეები, რომლებიც სიღარიბის უცვლელ ნიშნულსა და ინფლაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობენ, ზემოთჩამოთვლილი ცნებების მიმართ გაუცხოებული და, უფრო მეტიც, დაპირისპირებულები ხდებიან. ამგვარი იდეების ალტერნატივა კი შესაძლოა სწორედ ულტრამემარჯვენე პლატფორმა იყოს ანტი-სისტემური დღის წესრიგითა და ანტი-უმცირესობებისა და ანტი-იმიგრაციის პოზიციების მხარდაჭერით. თუმცა,

როგორც უკვე ვთქვით, მსგავსი პოზიციები ჯერ-ჯერობით პარტიულ სპექტრში არ გვხვდება, ამდენად, საკვლევად სწორედ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გაერთიანებები შევარჩიეთ.

3. გამოკითხვის შედეგები

პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კითხვარის დებულებებს შორის შინაგანი კონსტანტობის შედეგი, კრონბაჰის ალფა +0,7-ის ტოლია, რაც გვაძლევს საშუალებას ულტრამემარჯვენეობის შედეგი ერთიან დამოკიდებულ ცვლადად წარმოვადგინოთ. რაც შეეხება, საშუალო სტანდარტულ გადახრას, ის თითოეული პოლიტიკური გაერთიანების შემთხვევაში 0,4-ზე ნაკლებია, რაც ნიშნავს, რომ თითოეული ამ გაერთიანების საშუალო ქულა აგრეგირებულად შეიძლება იყოს განხილული. ვინაიდან კითხვარში დებულებები 4 კატეგორიადაა დაყოფილი, ვფიქრობთ თავდაპირველად, უმჯობესია კვლევაში მიღებული მონაცემები თითოეული კატეგორიის მიხედვით წარმოვადგინოთ. მართალია, ის ცალკეული გაერთიანებისა პოზიციას არ გამოხატავს, ეს საშუალებას მოგვცემს გამოკითხულთა შორის არსებული ტენდენციები წარმოვადგინოთ და ამის შემდეგ გავაანალიზოთ გაერთიანებების საშუალო ქულებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებებს შორის არსებული ტენდენციები წარმოვადგინოთ და ამის შემდეგ გავაანალიზოთ გაერთიანებების საშუალო ქულებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.

3.1 საგარეო პოლიტიკა

კითხვარის ეს ნაწილი მოიცავს დებულებებს გლობალიზაციის, საიმიგრაციო და სამეზობლო პოლიტიკისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ თუ აგრეგირებული საშუალო ქულა 4-დან 5 ქულამდეა, ეს ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პოზიციაზე საუბრის საშუალებას მოგვცემს. მონაცემთა დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტები ძირითადად ეთანხმებიან (+4.5) დებულებას, რომ „გლობალიზაციის პროცესი ქართული ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს“, უფრო დიდი მხარდაჭერა აქვს დებულებას,

რომლიც თანხმადაც მოქალაქეობის მინიჭების წესი უნდა გამკაცრდეს. მსგავსი შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტები აშკარად გამოხატავენ მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის გატარების სურვილს. აღსანიშნავია, რომ სრული მხარდაჭერა აქვს ხედვას, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ხვედრითი წილის ზრდა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პრობლემას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ დემოგრაფიულ პროცესებს, (ეთნიკურად ქართველების ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დაბალია) ადვილად ახსნადია, თუ რატომაა ულტრამემარჯვენე პლატფორმისთვის დამახასიათებელი პოზიცია ასე ერთსულოვნად მხარდაჭერილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი განწყობების გაძლიერება ევროპეიზაციის პროცესზე ერთგვარი უკურეაქციითაც შეიძლება აიხსნას. ამდენად, დებულებები საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებსაც შეეხო. საინტერესოა, რომ რესპონდენტების პასუხების მიხედვით, ევროპასთან დაახლოების პროცესით ქართული ღირებულებები (+3,7) უფრო ზიანდება, ვიდრე ქართული ეკონომიკა (+2,8). ამგვარი ევროსკეპტიკური პოზიციები უფრო კულტურული ფაქტორებით უნდა ავხსნათ, ვიდრე ეკონომიკურით. მიუხედავად ამისა, მოცემული გაერთიანების ზოგიერთი წარმომადგენელი მკვეთრ პოზიციას ამ მიმართულებით არ აფიქსირებს. იგივე შეიძლება ვთქვათ ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაზე, რომლიც წევრობაზე ნიჰილისტური პოზიცია იმ დებულებაზე ძლიერი მხარდაჭერით (+4,3) გამოიხატა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის პირობებში საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი. როგორც ვხედავთ, მიუხედავად სახელმწიფოს დეკლარირებული ევროატლანტიკური კურსისა, რესპონდენტების პასუხები განსხვავებულია. ამ თვალსაზრისით, კითხვარში წარმოდგენილი იყო დებულებები, რომლებიც ზომავდა წევრების მხარდაჭერას საქართველოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე (იხ. ცხრილი N2)

პოლიტიკური	რუსეთთან სტრატეგიული	ევროკავშირის	ნატოს

ნეიტრალიტეტი	პარტნიორობა	წევრობა	წევრობა
+2,3	+2,5	+2,7	+3,2

ცხრილი N2 წყარო: თვით-რეპრეზენტაცია

როგორც აღმოჩნდა, ზოგადი ტენდენციის მიხედვით, შედარებით მაღალი მხარდაჭერა ნატო-ს წევრობას აქვს, თუმცა ეს მონაცემიც ნეიტრალურობის ნიშნულთან უფრო ახლოსაა. ამ თვალსაზრისით, ვვარაუდობთ, რომ ჯერ-ჯერობით ამ გაერთიანებებს ერთიანი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ ან უბრალოდ არ ავლენენ. თუმცა, სამეზობლო პოლიტიკის კონტექტსში მაინც გამოიკვეთა ორი საკითხი, რაზეც შედარებით მსგავსი პოზიციებია. ეს არის რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენის სურვილი და საქართველოსთვის თურქეთის პოლიტიკის საფრთხისშემცველად აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორია, მოსაზღვრე საქართველოს რეგიონში - აჭარაში შეინიშნება მნიშვნელოვანი თურქული გავლენები სოციალურ და კულტურულ სფეროებში. ამას გარდა, ეს გარემოება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ხშირად რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პოლიტიკური ძალები, რელიგიურ განსხვავებებზე ფოკუსირებით მიუთითებენ თურქეთზე, როგორც საქართველოს ისტორიულ მტერზე.

3.2 იდენტობის პოლიტიკა

მოცემულ ბლოკის მიხედვით, რესპონდენტების უმეტესობა სრულიად იზიარებდა დებულებას, რომლიც თანახმადაც ქართული იდენტობა საფრთხის ქვეშაა. ყოველი მათგანი, ამავდროულად გლობალიზაციას მიიჩნევდა ეროვნული ინტერესებისა და იდენტობის საწინააღმდეგო პროცესად. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეპონდენტებისთვის გლობალური პოლიტიკური პროცესები ეროვნული იდენტობის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია. აღსანიშნავია, რომ ვერ გამოვლინდა მტკიცე კავშირი ქართულ იდენტობასა და კავკასიურ ან ევროპულ იდენტობებს შორის. რესპონდენტთა პასუხები ამ მხრივ ახლოს იდგა ნეიტრალურობის ნიშ-

ნულთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ გაერთიანებებისთვის რაიმე ტიპის რეგიონული იდენტობის პრობლემატიკა არცთუ მნიშვნელოვანია. ამის მიუხედავად, აშკარად გამოიკვეთა რელიგიური იდენტობის საკითხი: გამოკითხულთა აზრით, ქრისტიანული ღირებულებები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რადგან ისინი დაკნინებულია (+4,7). თუ ამ პოზიციას მოქალაქეობის მინიჭების წესისა და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ზრდის თემებთან დავაკავშირებთ, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი ქართული, ქრისტიანული ღირებულებების ხელოვნურად დაკნინების.

3.3 სოციალურ-ეთიკური საკითხები

კითხვარის ამ ნაწილში ერთსულოვანი პოზიციები მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით დაფიქსირდა. მათ შორისაა: სამუშაო ადგილებზე ეთნიკურად ქართველების დასაქმების პრიორიტეტულობა, სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვა და აბორტის აკრძალვა ორსულობის ნებისმიერ დროს. უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურად ქართველების დასაქმების საკითხი არა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემების, არამედ სოციალური შოვინიზმის გამოძახილია. ეს მტკიცდება სასოფლო მიწის უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვის მტკიცე მხარდაჭერითაც. მოცემული სურათი ჰგავს ევროპაში უკვე დაცდილ პოლიტიკურ შეტყობინებას, რომელიც შეიძლება ჟღერდეს, როგორც: „საქართველო ქართველებს“. ანტი-აბორტის პოზიცია გარკვეულწილად უკავშირდება ქრისტიანული ღირებულებების გამყარებას, რაც ასევე დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური თემაა. მოცემული საკითხები ემბის იდეას, რომ „ისლამური პროპაგანდა უნდა შეიზღუდოს“ (+4). გამმიჯნავი ხაზი რელიგიაზე ორი მთავარი მიზეზით შეგვიძლია ავხსნათ. პირველი უკავშირდება თურქეთის საკითხს, რადგან რესპონდენტების უმეტესობის ხედვით, ის საქართველოს წინააღმდეგ ირიბ პოლიტიკას ატარებს და ამ თვალსაზრისით, რელიგია შესაძლოა რბილი ძალის იარაღად იყოს აღქმული. და მეორე, დებულების „აზიური წარმოშობის ეთნიკური უმცირესობები ქართულ კულტურასთან შეუთავსებელია“ მხარდაჭერა (+4,2), რაც

მუსლიმი იმიგრანტების რაოდენობის პოტენციური ზრდის შედეგად შესაძლო საფრთხეებზე მიუთითებს.

საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტების გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის თემებს უმეტესად დასავლურ პროპაგანდასა და მასმედიის პროვოცირებას მიაწერენ. ამავდროულად, მიიჩნევენ, რომ სექსუალურ უმცირესობებს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება არ უნდა ჰქონდეთ და მათი სამოქალაქო პარტნიორობა დაუშვებელია (+4,8). ეს საკითხები კი, უკავშირდება ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელსაც რესპონდენტთა უმეტესობა ქართული ინტერესების საზიანოდ მიიჩნევს. მართალია, ერთი შეხედვით, მოცემულ ბლოკში რესპონდენტთა პასუხები მეტ-ნაკლებად მსგავსია, თუმცა კანონიერებისა და წესრიგის თემის ირგვლივ კონსენსუსი არ შეინიშნება. მაგალითად, მძიმე დანაშაულების შემთხვევაში სიკვდილით დასჯა და კანონების გამკაცრების აუცილებლობა რესპონდენტების ნაწილისთვის გადაუწყვეტელი საკითხებია. არადა, როგორც წესი, ულტრამემარჯვენე ძალები ამ მიმართულებით მტკიცე პოზიციებით გამოირჩევიან.

3.4 ნეოპოპულიზმი და დემოკრატიულობის ჩარჩო

რესპონდენტების პოზიციებს შორის განსხვავებები ყველაზე კარგად გამოიკვეთა კითხვარის ბოლო ნაწილში გამოჩნდა. გამოკითხულთა მესამედი მხოლოდ კანონის ფარგლებში აპირებს სამომავლო აქტივობების გახორციელებას, დანარჩენები არ გამორიცხავენ კანონის დარღვევას. შედეგები გვაჩვენებს, რომ მართალია, ეს გაერთიანებები ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბების პროცესში არიან, მათ შორის, გერმანული გამოცდილების მიხედვით, გამოიყოს რადიკალური და ექსტრემისტული მიმართულებები. დამაინც, ყველა გამოკითხული იზიარებს ხედვას, რომ პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკოსები კორუმპირებულები არიან, უცხო ქვეყნიდან ფინანსდებიან და მოსახლეობის ნებას არ გამოხატავენ. ამავდროულად კი, მიიჩნევენ, რომ „ხალხის ნებასა და ეროვნულ ინტერესს“ მხოლოდ სწორედ გაერთიანება გამოხატავს. მსგავსი პოზიციები აშკა-

რად მიესადაგება ნეოპოპულიზმს და სამომავლოდ მათი პარტიულ პოლიტიკაში გამოჩენის ალბათობასაც ზრდის.

ჩვენ წარმოვადგინეთ თითოეული კატეგორიის საშუალო ქულა ყველა რესპონდენტის პასუხის შემთხვევაში (იხ. ცხრილი N3). აგრეგირებული მონაცემების მიხედვით, 4-დან 5-მდე ზღვარში ვერ მოხვდა საგარეო პოლიტიკის კატეგორია, ხოლო იდენტობის პოლიტიკის კატეგორია, ფაქტორივად, ცდომილების ზღვარშია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორი გაერთიანების („ედელვაისი“ და „ქართული მარში“) წარმომადგენელთა პასუხებით მიღებული საშუალო ქულები ყველა კრიტერიუმის შემთხვევაში აჭარბებდა 4-ს. უფრო მეტად მსგავსია პოზიციები სოციალურ-ეთიკურ და ნეოპოპულიზმის კატეგორიაში, სადაც რესპონდენტების საშუალო ქულები 4-ს აჭარბებდა.



ცხრილი N3 წყარო: თვით-რეპრეზენტაცია

თავის მხრივ, განსხვავებული შედეგები ჩანს გაერთიანებებს შორის (იხ. ცხრილი N4). აღმოჩნდა, რომ „ანტილიბერალების“ საშუალო ქულა 3,3-ია, რაც ნიშნავს, რომ ყველა დებულების აგრეგირებული შედეგებით, მათი წევრების პოზიციები ნეიტრალურობის ნიშნულთან უფრო ახლოსაა. თითქმის ემთხვევა (მხოლოდ 0,1-იანი გადახრა ფიქსირდება) „ქართული ეროვნული ერთობის“ საშუალო ქულა 4-ს. რაც შეეხება „ქართულ მარშსა“ და „ედელვაისს“ მათი ქულები 4-დან 5-მდე ზღვარში მოხვდა, რაც ნიშნავს, რომ მათ წევრთა უმეტესობამ დებულებების უდიდეს ნაწილზე დაახლოებით მსგავსი პოზიციები დააფიქსირეს.



ცხრილი N4 წყარო: თვით-რეპრეზენტაცია

აღსანიშავია, რომ როგორც თემატური კატეგორიების, ისე გაერთიანებების დონეზე დათვლილმა შედეგებმა, გამოავლინა მცირე გამონაკლისი. საგარეო პოლიტიკური კატეგორიის შემთხვევაში, ჯამურად რესპონდენტები ნაკლებად ულტრამემარჯვენე პოზიცი-

ებს აფიქსირებდნენ. თავის მხრივ, ამ გაერთიანებებიდან ერთის - „ანტილიბერალების“ წევრები უფრო ნეიტრალურ დამოკიდებულებებს ავლენდნენ დებულებებზე. რაც შეეხება გამოკითხულთა პასუხებს შორის კავშირს დებულებების მიხედვთ, ამ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ რესპონდენტთა მცირე რაოდენობის გამო კორელაციის კოეფიციენტის გამოყენება ნაკლებად ეფექტურია. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია სხვადასხვა ცვლადს შორის პირობითად უფრო ძლიერი და შედარებით სუსტი კავშირების პოვნა. მაგალითად, რესპონდენტები, რომლებიც გლობალიზაციას ეროვნული იდენტობის საფრთხედ აღიქვამდნენ, უფრო მეტად უჭერდნენ მხარს მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას. ასევე, რაც უფრო მეტად იზიარებდნენ იდეას, რომ თურქეთი საქართველოს წინააღმდეგ ირიბ პოლიტიკას ატარებს, მით უფრო ემხრობოდნენ ისლამის პროპაგანდის შეზღუდვის აუცილებლობას.

გარდა ამისა, კროსტაბულაციური ანალიზის შემდეგ შესაძლებელია რამდენიმე საკითხზე დაკვირვება. საინტერესოა, ის გამოკითხულები რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსები საქართველოში უმეტესწილად უცხო ქვეყნიდან ფინანსდებიან უფრო მეტად უჭერენ მხარს საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციას გაწევრიანებას, ვიდრე ევროკავშირში გაწევრიანებას და კიდევ უფრო ნაკლებად ემხრობიან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის იდეას (იხ. ცხრილი N5). თუმცა, ვინაიდან ყველა ამ საგრეო პოლიტიკური კურსის მიმართ არ ფიქსირდება „ძირითადი“ მხარდაჭერა (თუმცა, რესპონდენტთა 75% რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მომხრეა), შესაძლოა ვივარაუდოდ, რომ ჯერ-ჯერობით ამ გაერთიანებების გამმიჯნავი ხაზები საშინაო პოლიტიკურ თემებზე გადის.

	სრულიად არ ვეთან ხმები	უფრო არ ვეთანხმე ბი, ვიდრე ვეთან ხმები	ნეიტრალური	უფრო ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები
NATO-ში გაწევრიანება	0%	0%	25%	37,5%	37,5%
ევროკავშირში გაწევრიანება	12,5%	12,5%	37,5%	25%	12,5%
პოლიტიკური ნეიტრალიტეტი	12,5%	25%	50%	12,5%	0%

ცხრილი N5 წყარო: თვით-რეპრეზენტაცია

დასკვნა

მოცემული კვლევის მიზანს იმის დადგენა წარმოადგენდა, თუ რამდენად შეესაბამება ულტრამემარჯვენეობის ევროპული გაგება საქართველოში არსებული მსგავსი გაერთიანებების პოლიტიკურ პოზიციებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო წრეებში ტერმინის ირგვლივ აზრთა ერთიანობა არ არსებობს. რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ნაცვლად, უფრო მეტად ზოგადი ცნება - ულტრამემარჯვენეობა გამოვიყენეთ. თუმცა კითხვარში წარმოვადგინეთ დებულება კანონის უზენაესობის შესახებ. „ედელვაისისა“ და „ქართული მარშის“ წევრები მზად არიან დაარღვიონ კონსტიტუცია და კანონი, თუ ეს საჭიროა, ხოლო „ქართული ეროვნული ერთობა“ და „ანტილიბერალები“მხარს მაინც კანონის ჩარჩოში მოქმედებას უჭერენ. ვინაიდან რესპონდენტები თავიანთ პოზიციებს 5 ქულიან სკალაზე აფისქირებდნენ, 4-დან 5 ქულამდე საშუალო ქულა (დაჯამებული) ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პოზიციად ჩავთვალეთ და პასუხების მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ ამ შუალედში იყო მოქცეული.

აგრეგირებული მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია განვიხილოთ ამ გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები. უპირველეს ყოვლისა, ესაა ნეიტრალური ან/და გაუჟღერებული პოზიცია საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ. თუმცა, საერთო ხედვაა თურქეთის, როგორც არაკეთილმეზობლური სახელმწიფოს აღქმაზე, ისლამის პროპაგანდის შეზღუდვის აუცილებლობასა და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ზრდის უსაფრთხოების პრობლემაზე. ამის პარალელურად, გლობალიზაციის ქართული ეროვნული იდენტობის (რომელიც რესპონდენტებისთვის არც კავკასიური იდენტობის ნაწილია და არც ევროპულის) დამაზიანებლად წარმოდგენა და მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის მხარდაჭერა ქართულ კულტურასთან შეუთავსებლობისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის აკრძალვის იდეების გაზიარებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ქართული იდენტობის ტრადიციულ ქრისტიანულ ღირებულებებთან დაკავშირება, რაც აბორტის, სექსუალური უმცირესობების სამოქალაქო პარტნიოტობის აკრძალვისა და გენდერული უთანასწორობის პოზიციების მხარდაჭერაში ვლინდება. საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი, სოციალური შოვინიზმის პოლიტიკასაც იზიარებს, სამუშაო ადგილებზე ეთნიკურად ქართველების პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამოძახილიცაა.

გარდა ამისა, გამოკითხულები იზიარებენ ხედვას, რომელიც ევროპის ახალი, ანტი-სისტემური პარტიების მთავარ პლატფორმას წარმოადგენს. კერძოდ, პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ გაერთიანებებს კორუფციულ და ელიტურ, უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებულ ინსტიტუტებად აღიქვამენ და, ამავდროულად, თავიანთ გაერთიანებას „ხალხის ნებისა და ეროვნული ინტერესების“ დამცველებად აიდენტიფიცირებენ. ამგვარი ნეო-პოპულისტური პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ისინი შესაძლოა ანტი-სისტემურ პარტიებადაც იქცნენ.

მოცემული კვლევით შესაძლებელია ულტრამემარჯვენეობის ქართული პოლიტიკური რეალობის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა. ის საშუალებას იძლევა საკითხის შესწავლა რამდენიმე

მიმართულებით განვითარდეს. პირველი, ესაა თითოეული თემის დეტალური გამოკვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუების გზით და პოლიტიკური პოზიციების მიზეზების გაგება და ანალიზი (შესაძლო კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ ცვლადებსა და პოლიტიკურ პრეფერენციებს შორის). მეორე, მოცემული გაერთიანებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსპექტივების შესწავლა: მმართველობის სტილი და დაფინანსების წყაროები. დაბოლოს, საკითხის კროს-ნაციონალური შესწავლა: რამდენად მსგავსი ტენდენციებია კავკასიის ან/და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

13 lawyers are defending the leader of National Unity, https://www.radiotavisupleba.ge/a/29548800.html [browsed on 07.11.2019].

Alt-Info, https://www.facebook.com/pg/altinfo01/posts/?ref=page_internal [browsed on 07.11.2019].

Anti-liberal club posts, https://www.facebook.com/pg/ANTILIBERALURI/posts/?ref=page_internal [browsed on 07.11.2019].

Eatwell R., *The Extreme Right in Britain: the long role of modernization*, [in:] Western Democracies and the new extreme right challenge, Bath 2003, p.11.

Georgian far-right groups reach agreement about forming new political party, https://dfwatch.net/georgian-far-right-groups-reach-agreement-about-forming-new-political-party-53106 [browsed on 01.05.2019].

Hainsworth P., The *Extreme Right in Western Europe*, New York 2008, pp.4-24.

How women are accepted into the Georgian fascist organizations and where they are forbidden to love, http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268453070 [browsed on 07.11.2019].

Coffey L., *NATO membership for Georgia: In U.S. and European interest*, https://www.heritage.org/sites/default/files/2018-01/SR-199_0.pdf , [browsed on 18.04.2019].

Ignazi P., *The Silent Counter-revolution: hypothesis on the emergence of extreme right-wing parties in Europe*, [in:] European Journal of Political Research, Vol. 22, 1992, pp. 3-34.

Ignazi P., *Extreme Right Parties In Western Europe,*Oxford 2003, p.1.

Ivaldi G., *Droties populists et extremes en Europe occidentale*, la documentation, Paris 2004.

Kakachia K., Minesashvili S., *Identity politics: exploring Georgian foreign policy behavior*, [in:] Eurasian studies, Vol.6, 2015, pp.172-175.

Koopmans R., *Dynamics of Repression and Mobilization:the German Extreme Right in the 1990s*, [in:] Mobilization: An international Quarterly, Vol.2, Berlin 1997, pp.149-164.

Lortkiphanidze, L., The Main Trends Of Development Of The Radical Far-Right in the EU

Members Countries, *Politics*, Vol.2, pp.1-27

Maisuradze, N., Ideological Profile of Internet Editions Of Georgian National-Patriotic

Direction, Politics, Vol.1, pp.1-27

Member of National Unity: We are Georgian fascists, https://www.radiotavisupleba.ge/a/29231623.html [browsed on 07.11.2019].

Mudde C., *The War of words defining the extreme right party family*, [in:] Journal of West European Politics, Vol. 19, 1996, p.205.

Mudde C., *Populist Radical Right parties in Europe*, Cambridge 2007, pp.15-22

Mudde C., *Th e Populist Radical Right: A Reader*, New York 2017, p.5.

Neo-Nazis march in Tbilisi – symbol of white nationalism, https://www.amerikiskhma.com/a/georgia-neo-nazis-marched-in-tbilisi-center/3528473.html [browsed on 07.11.2019].

Net Migration, https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration, [browsed on 20.04.2019].

New anti-discrimination law: challenges and achievement,

https://www.transparency.ge /en/blog/new-anti-discrimination-law-challenge andachievements [browsed on 21.05.2019].

Nodia G., Scholtbach A.P., *The political landscape of Georgia: political parties: achievements, challenges and prospects*, Delft 2006, p.30.

Results of Public Opinion Polls in Georgia, https://www.ndi.org/publications/results-july-2019- public-opinion-polls-georgia [browsed on 12.04.2019].

Roth A., *Georgia prepares for the first LGBT pride amid treats of violence*, https://www.theguardian.com/world/2019/jun/16/georgia-prepares-for-first-lgbt-pride-tbilisi-amid-threats-of-violence [browsed on 18.04.2019].

Rydgren J., *Extreme right-wing populism contagious? Explaining the emergence of a new party family*, [in:] European Journal of Political Research, Vol.44, 2005, pp. 413-437.

Stephan A., *Defining the far right in Georgia: from neo-fascists to populist parties*, http://gip.ge/wp-content/uploads/2018/10/Adriana_FINAL.pdf [browsed on 18.04.2019].

Taggart P., *New Populist Parties in Western Europe*, [in:] West European Politics, Vol.18, Sussex 1995, p.34.

The anatomy of Georgian neo-Nazism, https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli- neonacizmis-anatomia [browsed on 20.04.2019].

The Constitution of Georgia, Article 78, https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35 [browsed on 10.04.2019].

The EMC responds to the violence on September 27 by ultranationalist groups, https://emc.org.ge/ka/products/emc-27-sektembers-ultranatsionalisturi-jgufebis-mier-gamovlenili-dzaladobis-fakts-ekhmianeba [browsed on 07.11.2019].

Von Beyme K., *Right-wing extremism in post-war Europe*, [in:] Journal of West European Politics, Vol. 11, 2007, pp. 1-18.

Wales O., *Georgian far right nationalism and the Russian factors*, http://regional-dialogue.com/en/georgian-far-right-nationalism-and-the-russian factor/[browsed on 10.04.2019].

Wheatley J., Georgia from National Awakening to Rose Revolution: delayed transition in the former Soviet Union, New York 2005, p.114.

Who threatens to create the civilian guard, https://netgazeti.ge/news/277032/ [browsed on 07.11.2019].

Sandro Tabatadze

Political positions of far right movements in Georgian reality

The article deals with the far right movement foundation process in Georgia, where Europeanization process still takes place. Study aims to determine how European understanding of radical/extreme right meets the Georgian reality in this point of view. Research focus on major and most visible political groups – “Georgian March”, “Georgian National Unity”, “Anti-liberals” and “Edelweiss”. The article tries to formulate the relevant questionnaire to measure the essential features of these movement in the erms of political positions on foreign, domestic, social-ethical, identity policies. Also, it can be examined how the major members of these movements evaluate neo-populist and principle of rule of law. Conclusion includes the comparative analysis and linkages between these political movements.

Key words: Far right, political movements, political positions, Georgian politics.